82
1916

ᲙᲕᲘᲠᲐ 29 ᲛᲐᲘᲡᲘ 1916 Წ.

ᲤᲐᲡᲘ 12 ᲙᲐᲞ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲝᲚᲚᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ № 6.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

№ 22

ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲐ



ᲡᲐᲛᲡᲮᲝᲜ „ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲔᲗᲔᲚᲘ“. ᲓᲛᲔᲠᲗᲝ ᲩᲔᲛᲝ! ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ
ᲟᲔᲠᲝᲜᲢᲘᲜᲐ ᲐᲚᲐᲠ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲡ,
„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ
ᲔᲒᲖᲝᲛ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕ ᲠᲝᲪᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲡ.

ᲜᲔᲢᲐᲕ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲗᲣ ᲛᲓᲐᲚᲐᲢᲝᲑᲡ
ᲓᲐ ᲛᲪᲚᲘᲡ ᲣᲠᲪᲮᲕᲐᲓ ᲑᲣᲠᲯᲣᲐᲖᲔ?!!
ᲐᲚᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ: ᲛᲔ, ᲗᲣ ᲘᲒᲘ,
ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲡᲠᲣᲚ ᲭᲙᲣᲐᲖᲔ.

თამარის აჩრდილი.

(დასასრული)

საღამო ჟამი იდგა. ქ. გორის ქუჩებს დიდი მზადება ეტყობოდა. დილა ადრიან ხალხი გარეთ გამოშლილიყო და ვიღასაც ელოდა. დიდად პატივცემული კორესპონდენტი „ობოლი“ ხიდის ყურზე იდგა და გამვლელ-გამომვლელს ფეხებში უყურებდა: ვინ რამდენ ნაბიჯს გადასდგამსო. სამეფო ქუჩაზე გორის მანდილოსნები, რიცხვით 10.000-დის დარაზმულნი ჩამწკრივებულიყვნენ. ამ საერთო მზადებას ხელს უწყობდენ გორის ვაჭრებიც. რადგან არც ფარჩეულობა, არც ჩითები და ასე გასინჯეთ—საქონლის ტყავიც-კი აღარ იშოვებოდა, მათ ე. ი. გორის ვაჭრებს ხალხისთვის გაეძროთ ტყავი და გარეთ გამოეფინათ. კლუბის დარბაზი ელექრონით გაჩაღებული, ლამაზათ გამოიყურებოდა. ერთ კუთხეში „ფრაპსა“ თამაშობდენ, მეორეში „მაკაოს“. ადგილობრივ საზოგადოებას ბლომად მოეყარა თავი. საღამოს ცხრა საათიც გახდა. თამარის აჩრდილი უეცრივ კლუბის დარბაზში გაჩნდა და წარსდგა ადგილობრივ საზოგადოების წინაშე. ყველა ცდილობდა მისთვის თავი როგორმე მოეწონებია. მალე წარმოდგენაც დაიწყო და სცენაზე გამოვიდა ერთი პაწია ბავში, რომელმაც შემდეგი მშვენიერი ლექსით მიმართა საზოგადოებას:

„კაკაჩოსა სიცტლიტა
კანა დაუმშვენებია,
ჟორჟიკას კარგი სცავლიტა
პაპა გაუხარებია“.

ჟორჟიკას პაპა და მამა, რომელნიც იმ წუთში დიდი პატრიოტული გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი, სიხარულის ცრემლებსა ღვრიდენ, ხოლო საზოგადოებამ ნიჭიერი ბავშვი მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა.

სცენაზე გამოვიდა ერთი ახალგაზდა მგოსანი, ესე 5 წლისა იქნებოდა, რომელიც თავის საკუთარ ლექსების წაკითხვას აპირებდა, მაგრამ გაალო თუ არა პირი, ელექტრონი ჩაქრა... თუმცა ელექტრონი ისევ აინთო, მაგრამ თამარის აჩრდილი აღარსად იყო. ქუჩებში-კი ისევ ჟრიამული იდგა. „Божи мой! რამდენი ვიგულავე დღეს ულიცეებზედ. დედა არ მომიკვდეს, я очень устала“—ეუანებოდა გიმნაზიელი ქალი გიმნაზიელ ვაჟს.

— „Ничего душка! დავისვენოთ. მეც ბევრი ვიკატავე. მაშ პროგულკაზე როგორ დადიხარ ხოლმე კლასნი დამასთან? წამო, сядемъ სკამეიკაზედ!“—მიუგო ვაჟმა.

თამარის აჩრდილმა ყური მოჰკრა ამ ლაპარაკს და მწარედ ამოიოხრა. დარაზმული მანდილოსნები ამ დროს „საჩაიეში“ ისხდენ და გაცხარეულნი „პასკებზე“ კამათობდენ. აგერ გამოჩნდა თამარის აჩრდილიც. ქ-ნი ანიჩკა, ვერიჩკა, სონიჩკა და სხვა და სხვა... მოწიწებით წარსდგნენ მის წინაშე და სათითაოდ რევერანსი გაუკეთეს. აჩრდილი გაკვირვებული უყურებდა ამ სურათს და ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ნიშნავდა ყველა ეს. ბოლოს აჩრდილმა გაიგო „მანდილოსნის“ დაარსების დიადი მიზანი და მოისურვა საზოგადოებაში ჩაწერა. მაგრამ წესდების ძალით იგი არ იქმნა მიღებული, რადგანაც თამარ მეფის პირველი მეუღლე—გიორგი რუსი იყო ტომით, ხოლო მეორე—დავით სოსლანი—ოსი. გულ ჩათხრობილი გამოვიდა თამარის აჩრდილი „მანდილოსნიდან“ და გასწია გორიდან შორს... იმერეთისკენ...

თქვენ, ბ-ბო, უეჭველია გეცოდინებათ, თუ რა მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს ქ. ქუთაისი—გაზაფხულზე. პატარძლივით მორთული იგი ყველას თავისკენ იზიდავს. ბულვარზე აუარებელ ხალხს თავი მოეყარა და გულის ფანცქალით ელოდა დიდებულ ადამიანის მოსვლას. გამოჩნდა აჩრდილიც და ხალხი შუაზე გაირღვა. გაბედულათ და ამაყათ წამოდგა წინ თეთრ რაშზე მჯდომარე ცნობილი ლექტორი გრიგოლ რობაქიძე და შემოსძახა „სირენას“ სიმღერა. მას მოჰყვნენ პაოლო იაშვილი და გაფრინდაშვილი, რომელნიც, უკაცრავოდ პასუხია, სახედრებზე შემსხდარიყვნენ და ცისფერი ყანწებით შამპანიურსა სვამდენ. ხალხი მოუთმენლად ელოდა მათ „პირველ-თქმას“. პაოლო იაშვილმა აიღო ამაყად მაღლა თავი და დაიწყო შემდეგი ლექსი:

„წითელი ხარი“.

ყვითელი რქებით
წითელი ხარი,
ცხელი და ჩქარი
ვადიდოთ ქებით.

—

ცეცხლიან ყვავილებში მოჩვენება
. . . . . წითელი
ცხელი ცახცახით ელის,
რომ ქვეყნის ამღერება
იქნება მზის ნადიმი, შუა დღის
. . . . . მშვენიერება.

—

ხარსა ხარი მისდევს მზესთან
ვინ დაითვლის წითელ ხარებს?
ჰაერს ფრთები აუკვნესდა.
ყველა მზისკენ! ყველა მზეში!
მიწა ველარ გაგვახარებს!..

—

ამ მშვენიერმა ლექსმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ასე გასინჯეთ თვით სახელგანთქმულმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემაც ვერ მოითმინა და ჰაერში კოცნა გაუგზავნა მის ავტორს, ხოლო პატივცემულმა გაზეთმა „ჩვენმა მეგობარმა“ მოათავსა იგი თავის ფურცლებზე. რამდენიმე წუთის შემდეგ იქ გაჩნდა რუსეთის დიდებული მგოსანი კოწია ბალმონტი. მოწიწებით მოიყარა მან მუხლი თამარის აჩრდილის წინაშე და ექსპრომტად წარმოსთქვა:

„Какъ нѣжный лепетъ колыбели,
Какъ странный широкъ птичихъ крылій,
Люблю содзужныхъ Руставели
Гаприндашвили и Яшвили“.

ბ-მა გაფრინდაშვილმა კმაყოფილად ჩაახველა და მხრები ამაყად მაღლა ასწია. ბოლოს წინ წამოდგა ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი მგოსანი გრიშაშვილი, რომელიც ამ დროს შემთხვევით ქუთაისში იყო, და მიმართა თამარის ქოშის ლურსმანს შემდეგი ლექსით:

ქოშის ლურსმანს, ცისფერ, სოსანს
ვეამბორე, ვენაცვალე,
მითხარ, მითხარ ეგრე მალე
რად გამწირე, რად გამცვალე?...

რუსთაველის ქებას ჩვეულს ვერაფრად ესიამოვნა ეს „ხოტბა“ და ისეთი მრისხანედ შეხედა მგოსანს, რომ ლექსი შუაზედ გააწყვეტინა. თამარის აჩრდილი დიდხანს უყურებდა გაოცებული ამ სურათს და ფიქრობდა: ნეტავ გამაგებინა რომელ ენაზე მელაპარაკებიანო. აჩრდილმა ნაღვლიანი სახით გადახედა საზოგადოებას და აგრძნობინა ყველას თავის გულის წყრომა. შეშინებული გრიგოლ რობაქიძე თავისი თეთრი რაშით რიონში გადავარდა, ხოლო გაფრინდაშვილი სადღაც გაფრინდა...

თამარის აჩრდილმა ჩააქნია ხელი და გამოსწია ისევ ქართლისკენ...

მაისის ღამე იყო. ერთ მიყრუებულ სოფელს, რომელიც მდებარეობს ქართლის გულში, ტკბილად ეძინა. ვარსკლავებით მოჭედილი ცა თავს დაჰქათქათებდა დედა-მიწას და უხვად უგზავნიდა მას თავის ზეციურ მადლსა. დაბლა ხევში მონარნარებდა ანკარა წყარო და ტკბილ ნანას უმღერდა მთელ მიდამოებს. ბუნებას ეძინა... არ ეძინა მხოლოდ საწყალ ქიტესას ოჯახს.

— „კარგი, დედა-კაცო! რით ვერ გაათავე ტირილი? არ მოგწყინდა მაგდენი მწუხარება?“ — ეუბნებოდა ქიტესა თავის მეუღლეს მაგდანას.

— „შვილო, გოგია, შენ გენაცვალოს დედა. ნეტავ მე მომკვდარიყავ და შენ კი ცოცხალი ყოფილიყავი!“ — მოსთქვამდა საბრალო დედა ტირილით. გოგია, მაგდანას ოცი წლის ვაჟი, მთელი სოფლის თვალ-მარგალიტი ბრძოლის ველზე მოეკლათ. აგერ თითქმის ერთი წელიწადი შესრულდა და განუწყვეტლივ იმღუღრება საბრალო დედა.

— „დედაკაცო! მაშ ჩვენ წინაპართ რაღა უნდა ექნათ, რომ ათი-ათასობით იჟლიტებოდენ სამშობლოს გულისათვის?“ — შეეკითხა ქიტესა.

აქ ველარ შეიმაგრა თავი მაგდანამ, შესწყვიტა ლაპარაკი და გადმოღვარა მდუღარე ცრემლები. გოგიას სიკვდილის შემდეგ ღარიბღატაკ, ძონძებში გახვეულ ქიტესას ოჯახს სანუგეშებლად დარჩენოდა პაწია არჩილი, ერთი წლის ვაჟი გოგიასი. არჩილის დედა გოგიაზედ დარდს თან გადაჰყვა და დარჩა ბავშვი ობლად.

— „ადამიანო! შენც რომ თავი მოიკლა, მაგ ბავშვს რაღას ეუბნები? ხედავ როგორ მოვხუცდი? განა მე შემიძლია მაგის გამოზრდა? შენ ეხლა მაგ ბავშვისთვის უნდა იცოცხლო. გაჩუმდი, გეყოფა ტირილი...“ — ეუბნებოდა ქიტესა მაგდანას.

მაგდანამ ტირილით თითქოს გული მოიჯერა. მხურვალეთ ჩაიკრა თავისი შვილის შვილი, არჩილი გულში და დაუწყო მას კოცნა. ხმაურობაზედ გამოღვიძებულმა ბავშვმა ისევ ტკბილად ჩაიძინა. დამშვიდებულმა მაგდანამ გადაარწო აკვანი და დაიწყო ღიღინით „ნანა“. ნაღველი და მწუხარე[illegible],

წარსულის ტკბილი მოგონება და მომავლის სანეტარო იმედი,—ყველა ეს გრძნობანი ამ სიმღერაში ერთად შეზავებულიყვნენ. ამ დროს თამარის აჩრდილი ოთახის ბნელ კუთხეში იდგა და ყურს უგდებდა მწუხარებით სავსე სიმღერას. დედის ცრემლებს და სევდიან ნანას მისი ნაზი გული ძალზედ აეღელვებინა და გამოეწვია მასში მხურვალე თანაგრძნობა. თამარის აჩრდილი თავს დაადგა აკვნიან ბავშვსა და ათრთოლებულის ხმით წამოიძახა: „ძლიავს... გმადლობთ შენ ღმერთო, რომ დამანახვე ადამიანის ტანჯვა და გამაგონე მშობლიური ენა... რვა საუკუნის ღამის წყვდიადში კიდევ ბეუტაეს მცირე ნაპერწკალი... კიდევ ცოცხლობს ჩემი საყვარელი ერი... ღმერთო, შენ გაზარდე ეს პაწია ყრმა... შენ გაიღვიე მის გულში ღვთიური ნაპერწკალი!.. ჯერ ეს სიტყვები არ გაეთავებინა თამარის აჩრდილს და მას თვალთაგან ორი მარგალიტი ცრემლი ჩამოსცვივდა. ქიტესამ და მაგდანამ გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს, მოიფშვნიტეს თვალები, უნდოდათ ეხილათ უცხო სტუმარი, მაგრამ ამოდ: თამარის აჩრდილი სამუდამოთ გამქრალიყო.

ლახტი.

„ნოე და კიდობანი“

(ძველი ადამმა ახალის კამა).

ორმოცსაც ერთად რომ იწვიმებდა
დღეი და ღამე,
ვით ფოთში მცხოვრებს, იქვი არ შემდის
ეს მე ვიწამე
და თუ ხმელეთი არარატს გარდა
მოსჩანდა ძვირათ,
არ გაიკვირვებთ თუ გიცხოვრიათ
რიონის პირათ.
სადაც ორი დღის ცუდი ამინდიც
საკმარისია,
რომ შეასრულოს რიონმა კვალად
წარღვნის მისია
და კიდობანსაც ააშენებდა
იმ დროში ნოე
ამის საბუთი ნავის მშენებელ
ხუროსთან ვპოე,
რომელიც ამბობს გალმოცემიდან
თითქო ჯინაზე,
რომ: „კიდობანი ნოემ ააგო ... [illegible]
კაპარჭინაზე“ *)
აქვე შეჰკრიბა სანჩხვე-სამრავლო
ცხოველთა ჯოგი
(თუმც თითო წყვილი) მაინც კიდობანს
გადარჩა ზოგი,
სადაც კამეჩი ბღაოდა თურმე
„ნოე-ნოეო!
რატომ მეც ბინა შენს კიდობანში
ვერ ვიპოვეო“.
ჩვენ ვიცით ნოვემ მიმდევარ კამეჩს
რომ შეუცადა,
მარა სისწორით არ ვიცით იგი
როგორ და სადა.
თქმულება ამბობს „არარატის მთის
ახლო მდელოში“
მარა ჩვენ ვფიქრობთ ეს იყო ნამდვილ
„საქართველოში“.
რადგან ჩვენ ვიცით ნოვე იქ დათვრა
ყურძნის წვენითა,
ღვინის წყურვილით დიდი ხნით ძნელათ
მოსათმენითა
ვითარცა ქართველს „საქართველოში“
ვით მოეთმინა,
ობლათ დაეგდო „ცა ფარუზ ხმელეთ-
ზურმუხტი ბინა“?
თუმც სიმთვრალეში უფროსმა შვილმა
მას დასდვა ბრალი
პატივი არ სცა, არ შეიბრალა
მამა დამთვრალი,
დასცინა კიდეც იმის სიშიშვლეს,
სივაგლახესა,
შეშლილათ სთვლიდა უწინდელ სპეტაკ
მამის სახესა.
მარა უფროს ძმას აღარ მიჰბაძა
„იაფეტმამა“ **)
თან ტანსაფარით შემოსა ლოთი,
შიშველი მამა
და სთქვა: „თვით მომქმედს მაშინ ეკუთვნის
ძრახვა და ქება,
როცა ეკნება ფხიზელი, სწორი
ურყევი ნება“.

ბუტუნა.

---

*) კაპარჭინა—მდინარეა ფოთში.
**) იაფეტი—ნოვეს უმცროსი შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესტვირული

(ბოკმა შესსუბ სოხუმისა)

I

საზოგადო მიმოხილვა.

ეჰ, ერთხელ კიდევ ჩავბერავ
სტვირს, მდუმარს კაი ხანითა,
დავუკრავ, დავაღიღინებ
ქარაგმულ ამოცანითა.
აქ ერთს ყურს ვწვდები,
იქ იმის უნდა დავზვერო ქოჩორი,
ზოგს შვენის დიდყურაობა,
ზოგია მისი ჩოჩორი.
დიდი ყურები დიდ თავზე
დიდი განძი და ჩინია,
თუნდაც ის აზრით და გრძნობით
იყვეს უბრალო ფინია,
უყეფდეს, თუმცა არ ჰქონდეს
შიში ძლიერი სპილოსი;
იკოდეს ძალაც და ფასიც
თავისი ყეფის კილოსი.
დიდი ყურები, დიდი რქა.
დიდი დინგი და ღიპები,
აი რითაა საჩინო
ჩვენი ცხოვრების ტიპები!..

II

განხილვა ტიპიური.

რაღათ ვიმსჯელოთ საერთოდ?
მოვიგდოთ ერთი მათგანი,
აი თუნდ იგი წვრილფეხა,
რომ დადის, როგორც ბატკანი.
არც ყურით არის ცნობილი,
არც რქებით, არცა დინგითა,
თუმც არრის მიმხედავია
თავისი ცხვირის იქითა.
სამაგიეროთ ვუკურთხე
მე იმას ენის ჭახრაკი:
ვერ გაცოცხლდება ვერღა რა
იმის ძმარ-ცეცხლზე ნახრაკი.
გველსაც აჯობებს, მელასაც
ამ იარაღის ხმარებით,
წელში კი მოხრილი არის
სხვისი შლეიფის ტარებით...

—

ეს დინგოსანიც მოვიგდოთ
ეგზომ მოყვარე ნეხვისა,
მას ხომ არა სწამს, თვინიერ
თვის ყბა-კბილებით ცეხვისა.
ქონი დაედო, რა ქონი,
ვერ ზიდავთ ათი დროგითა!
კურთხეულია ეს მხარე
მაგისთანების ჯოგითა.
მაგაზე არც ქარაგმა სჭრის,
არც სიტყვა მაგარ-მაგარი,
ზურგის მასსაჟით თუ რომ არ
გავაყრევინეთ ჯაგარი!..

—

აგერ თხაც მოპაკი-პუკობს
რქა მოტეხილი, ტიალი,
მაგისი საქმე ესაა:
ტროტუარებზე ყიალი.
არც დედა უნდა, არც მამა,
არც შვილი, არც და-ძმობილი
დაჰყვება, ვინც მისებრ თხაა
და სიტუტუცით ცნობილი.
პეტელი სიტყვა ჰგონია,
ყიალი—საქმის კეთეთება;
მაგისთანებსაც ხან და ხან
უნდა ვიჩვენოთ ფეთება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

და ასე უსაზღვრო არის
ტიპთა სხვა და სხვა ფერობა;
მე სულ არ მაინტერესებს
მათი პირადი მტერობა,
მხოლოთ საქვეყნო საქმესა
როცა ესენიც ჩემობენ,
კრებიდან ისევ კრებისკენ
მირბიან, მიმოჭენობენ,
აი, აქ ჩემი მათრახით
გზა რომ მოუჭრა, წესია,
რომ აქ მე მოვამკევინო,
რაც მას იქ დაუთესია!...

—

თქმა მუნ წესებულებათა ზედა.

ახლა აქ ბანკსაც მივხედოთ
საურთიერთო ნდობისა,
ბევრსა აღეძრა სურვილი
ამ ბანკში მბრძანებლობისა;
საბუთად გამოიყენეს
მუნ საქმეთ აწეწილობა
და გამგის სავარძელზედა
ურთ-ერთს დაუწყეს ცილობა.
აღარ დაინდეს ჭალარაც
პატიოსანი მშრომელის.
(ასეთი არის ბუნება
გაპირველების მდომელის).
მიზეზს კი ხელიც ვერ ახლეს
საქმეთა მუნ არევისა,
„ცხენს ველარ შესწვდენ,
უნაგირს დღე გაუთენეს მტვრევისა“...

—

ქალაქის თვითმართველობის
ავათ არ მსურდა ხსენება
და ეს არც მომინდებოდა,
თვითონ მას რომ არ ენება.
მართალი არის, მგოსნისგან
დიდისა სიბრძნით თქმულია:
„რასაცა გასცემ, შენია,
რაც არა,— დაკარგულია“,
მაგრამ სიუხვით გაცემა
იმ შემთხვევაში კარგია,
როცა ის ისევ გამცემელს
ასე თუ ისე არგია.

* * *

მაგალითად: საყდრის ახლო
ბაღი გქონდა საედემო,
შენ რომ ვერ მოისარგებლე
სხვას მიეცი ძმაო ჩემო!
ის საბავშვო საალმზრდელო
ბაღათ უნდა მოგეხმარა,
ამისთვის რომ ფული მოგცეს,
მსგავს საქმეზე ორზეც კმარა!
შენ მაინც სხვას გადაეცი
ბაღი იგი დამამშვენი,
იმას შენგან არ ელოდა
ქალაქი და ზღვა სპა შენი.
და ახლა ამ ღვაწლისათვის,
გთხოვ, მიიღოთ ჯილდოთ ესა:
გულდაწყვეტილ ბავშვთა წყევლა,
მათი მოთქმა, მათი კვნესა!..

* * *

თავშესაფარი ღარიბთა
გაგაჩნდა ერთად-ერთია,
საქმე რომ კეთილი იყო
ამის მოწამე ღმერთია.
აიღე, ისიც სხვას მიე,
როგორც მაზარა ძველია,
ჰკუას თუ შესწყერ, გულს თფილი
გრძნობა რათ გამოგელია?!

* * *

თავმან შენმან გაგიხადა
სათამაშოთ, როგორც ბურთი.
მომწონს მისი პროექტები
და სიტყვების ფართი-ფურთი.
თუმცა ჯერ ამ პროექტების
კაი ბოლო არ ნახულა:
ყველა მყისვე ჩამომზრალა,
რა წამშიც კი დასახულა.
ზოგი სულაც გადაგვიტანს,
ღმერთმა თუ არ შოგვაშორა,
ამას წინათ, ლამის ერთმა,
მთლად ქვეყანა ააშმორა.
მას თუ ჰკითხეთ, დიდი არის
მისი სიტყვა, მისი ღვაწლი,
შენ კი არც სიტყვა მოგიწევს
და არც საქმე, მას თუ აცლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან კი სხვას რა გაეგება?
ან რა ხმა აქვს, თუ გინდ, ხმოსანს?
ყველაფერში დაეთანხმეთ
სიტყვისა და საქმის მგოსანს,
მაშინ თქვენი და ქალაქის,
ქვეყნის საქმეც წავა ისე,
როგორც გამხმარ მწარე კვახში
წყაროს წყალი მოკისკისე!..

—

ახლა მინდა მე ის ბაღიც
ვინახულო ბოტანიკის,
თუ მეღირსა პირის ჭვრეტა
მისი დიდი ნაჩალნიკის.

უნდა ვკითხო: „აფხაზებზე
როცა სწერდი ისე მრუდათ,
რათ სახავდი მთელ ნაციას:
ქვევრში მთხლეთ, თუ ფქვილის გუდათ?“.

მართალია, რომ „მარკოვი“
სტაფილოა სხვა ენაზე...
ხალხი ფარათ გეყოლება,
მგელ-კაცებს თუ გაენახე,

მაგრამ მუდამ კოკას წყალი
რომ ეზიდოს, ხდება ძნელად:
ისეთ რამეს ნუ მოროშავ,
ბოლოს დაგრჩეს სანანებლად!“.

* * *

და ამ პირველთან თანხმობით
იტყოდა სხვაც, **რატომ არა:**
„თითო აფხაზსა მზათ აქვსო
ხუთას-ხუთასი ტომარა,
საცაა, შეუდგებიან
ავაზაკობას, ძარცვასო,
ქალაქს ზე ჩამოგვანგრევენ,
არ დასტოვებენ ქვას-ქვასო!“

მაგრამ გაუსხლტათ კოვზები
და ჩაუცვივდათ ნაცარში:
არ ახდა იგი არც ერთი,
რაც მათ ეწერათ დავთარში.

აწ თავსაც კი მართლულობენ,
ალბათ კვლავ ხალხის შიშითა...
„არ გათეთრდება ყორანი,
რაც უნდა ხეხოთ ქვიშითა!“.

—

და დასასრულ მე სოხუმელ
ქართველ ქალებს ვაძლევ სალამს,
მოწიწებით თაყვანსა ვსცემ,
მოქმედების მათის ალამს!

საჩაიის მოწმე გავხდით,
ჯერ სოხუმში არ ნახულის;
ეს პირველი მერცხალია
ქალთა პირველ გაზაფხულის!

და იმედი გულს გაშლილი
იქარგება ათას ფერათ!
რომ ამაში თქვენც დარწმუნდეთ,
თვით მობრძანდით მათ სამზერათ!

ერთობის და შეთანხმების
თქვენ აქ ნახეთ მაგალითი,
და თუ ჩემი არ გამართლდეს,
მომიქნიეთ ნიშნით თითი!

ვაშა! ვაშა! მანდილოსნებს.
ვაშა! ვაშა! ქართველ ქალებს,
გაუმარჯოს თქვენს დასაწყისს
და მომავალ იდეალებს!

დეე, ვისაც რა უნდოდეს,
ის სთქვას თქვენზე, ის იფიქროს,
გულბოროტმა დე თვის გულში
შურის ცეცხლი გესლით იქროს!

ან და საქმე საპირადო
გაუსწოროს საზოგადოს.
თქვენთან ვერას ვერ გახდება,
თუნდ სულიც ამოიხადოს.

ხალხს თვითონვე შეუძლია
ავისა და კარგის ცნობა.
მაშ, წინ მედგრათ! თქვენთანაა
მთელი ჩვენი თანაგრძნობა!..

—

მესტვირული დავასრულე.
სტვირიც უნდა მოვიდერო,
თუ რომ ვინმე თავს დამესხა,
იმით უნდა მოვიგერო.

არ გაჰბედოთ ჩემზე მოსვლა
და გუდა არ გამიბეროთ,
თორემ სტვირი კვლავ დაუკრავს
და მეც მზათ ვარ სასიმღეროთ!

თვით კი არ მსურს იერიში
და არც სხვისი წაკიდება,
რაც ვსთქვი, ის თუ შემარჩინეს,
მადლი ეშმაკს და დიდება!..

ონანიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჰქონდათ ციცხვი და იძახოდენ: „ხაბარდა!!!“

შეეხეოდოთ, რომ კოვზი ნაცარში ჩავარდა.

*) „წ“ აღნიშნავს არა „წელს“ არამედ „წონას“. **) „სტ“ აღნიშნავს არა „სტატიას“, არამედ „სტერლინგს“.



რუსეთის საიმპერატორო თეატრის დამსახურებული მსახიობი **ალ. სუმბათაშვილი—იუჟინი.**

შარჟი შ. ქიქოძისა.

შარადა

შორს დებულია გრამატიკაში,
მოკლე ნიშანი ლაპარაკშია,
რომლითაც ვამცნობთ ერთი მეორეს,
რომ მორიდება გვინდა თქმაშია,
უკლისად გვქონდეს, რადგანაც ორი
ანბანი არის მთლად იმაშია.

—

რჩეულ ვარსკვლავთა კრების სახელი,
რომელიც ყველას გაგეგონება,
ერთად გვქირია შარადისთვისა,
ზეცას მიაპყარ თვალი, გონება.

—

მაგრამ ამით ვერ უშველით,
კიდევ გვმართებს სიარული,
მოიგონეთ კაცი წმინდა,
ღვთის მოშიში, მოყვარული,
რომლის სახლი ჯალაბობით
წყალს დაქონდა დაფარული,
არარატის მთაზედ შესდგა,
მოხდა დიდი სასწაული.
დავაწყვილოთ გამოკლებით,
უკანიდან მივყოთ ხელი
და ნურასა უკაცრავათ,
კიდევ გვექნეს საძებნელი.

—

შორს ნუ მიხვალთ, ახლო არის,
კაცის ტანის ნაწილია,
ორგანოა ჭკუის, აზრის,
საცნობელად ადვილია,
ნახევარი ბოლოდანა
მოვსწყვიტოთ, ვით ყვავილია
და შარადაც გავათავოთ,
შევისრულოთ წადილია.

—

ერთ დროს ხელთ ეპყრა „შარადას“
ძალა, უფლებაც—დიდია,
მაგრამა მოულოდნელად
ჩაუტყდა ბეჩავს ხიდია...
სიკვდილი ებრძვის სიცოცხლეს
ორივე ბეწვზე ჰკიდია.

ერიომა.

დეპეშები

(ბუტუნას სააგენტოდან)

ფოთი. რკინის გზის სადგურის უფროსს ზნეობრივ ავათმყოფობათა გამოჩენილმა ექიმმა ბ-ნ „ბახუსიანცმა“ განკურნების მიზნით გამოუწერა წმინდა კახური ღვინო შემდეგის დიეტით: დილით ნახევარი ვედრო, შუადღით ორი მესამედი ვედრისა და საღამოთი კი ერთი ვედრო. ავათმყოფი სავსებით ასრულებს ექიმის დარიგებას და იცავს „წამლის

დიეტას“, რაც ძლიერ უძნელდება და წამლის (ე. ი. ღვინის) მიღებიდან მეორეთ მიღების დრომდე თითქმის უგრძნობლათ არის. თუმცა სიარული შეუძლია. ამბობენ გონებასთან ერთად მუხლებიც რომ წაერთმია აღნიშნულ წამალს უმჯობესი იქნებოდაო, რადგან გონება დაკარგული ავადმყოფი წამლის მიღების შემდეგ საჭირო ადგილის მაგიერ პირველი კლასის ბუფეტში მიდის და კაბინეტის მაგიერ ქალტაშიო*). დიდათ უშლის ხელს ავათმყოფ უფროსს თავის თანაშემწე სადგურის ბაქანზე საჭირო წარმოდგენების მართვაში, რომელიც დასდევს და ევედრება: „სტიდნო პოიდიომო“.

ამავე უფროსმა ორი „სტოროჟის“ თანხლებით იერიში მიიტანა ბაქანზე ჩამწკვრივებულ მერცხლების ბუდეებზე და სავსებით დაანგრია ორასი სანგარი მერცხლებისა და დახოცა 500-მდე ბარტყები, საწყალი დედა მერცხლები დედობრივის თავგანწირვით ებრძოდენ გაафთრებულ მტერს, რომლის დროს რაოდენიმე დედა მერცხლებიც შეეწირენ შვილებთან ერთათ. ბრძოლამ ორი საათი გასტანა, გამარჯვებული უფროსი მხიარული დაბრუნდა, რომელმაც განაცხადა „მერცხლები გერმანიის ქვეშევრდომები იყვნენო“.

იქიდანვე. ხე-ტყის ქარხნის მუშებმა გაფიცვის დროს „ხაზეინთა წინაალმდეგ“ თავდადებული ბრძოლისათვის ნიშნათ „პატივისცემისა“ „მუშა“ კოწია თედორაია სამუდამოთ გაანთავისუფლეს ფიზიკურ შრომისაგან და დაადგინეს ეძლიოს პენსია იმ ქარხნისაგან, რომელშიაც თედორაიამ დაიმსახურა არა ჩვეულებრივ „მებრძოლის“ სახელიო. აღნიშნულ ქარხნის ამხანაგობა სასტიკათ ეწინააღდეგებოდა 5 დღის განმავლობაში მუშების ზემოაღნიშნულ დადგენილებას და მოითხოვდა თედორაიას უფრო მუშის (მხევლის) ადგილით „დასჯას“ მარა, მუშების არტილერიამ (გაფიცვამ) შეაჩერა ქარხნის ყველა მანქანები და ხაზეინებიც დანებდენ თედორაიას „პენსიაში“ გაშვებას.

იქიდანვე. სამიკიტნოების „რევიზორმა“ ა. იმედეიშვილმა მიკიტან ალავიძის შეჩენით (ალბათ სხვა მიკიტნების თანხლებითაც) ნორმალურ დასვენების მეთვალყურე ნოქარს მოსთხოვა დილის 5 საათზე დუქნის გაღება „საპახმელიო“ განძრახვით, ნოქარმა აუხსნა ნოქარ პარაზიტს, რომ დუქნები კანონის ძალით 7 საათამდე არ გაიღებოდა, ესეც ხაზეინების საქმე იყო და არა ნოქარის, იმედეიშვილიც „მიზეზს“ ეძებდა და ამ განმარტებისათვის დიდხანს სცემა საბრალო ნოქარს, რომლის დროს ხაზეინი ალავიძე და სხვებიც ნიშნის მოგებით იცინოდენ და ამბობდენ: „ესეც თქვენი ნორმალური დასვენებაო“. ამბობენ ამ აქტის ჯილდოთ იმედეიშვილს მიენიჭა „გუდების ფელდმარშლობაო“, რომელიც „სოციალიზაციას“ მოახდენს ღვინოებზედ.

—

დიდი ჯიხაიში. დიდი ჯიხაიშიდან ფრიად სასიამოვნო ამბავს გვწერენ. დანამდვილებით ლაპარაკობენ, რომ ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი ვლადიმერ სოსელია გადაყავთ უფრო მაღალ ადგილზეო*) ამ ამბავმა უსაზღვროდ გაახარა, როგორც მოსწავლეები, ისე მათი მშობლები.

იაქე.

—

ონი. „შეღავათის“ გამგეობა დიდ ენერგიას იჩენს უსაჭიროეს საგნების შეძენაში. ჯერ-ჯერობით შეიძინა გლეხებისათვის პირველ საჭიროების საგნები: კამფეტები, ბისკვიტები, ირისი, „ვიჩინა“ და სხვ. სიმინდს, მარილს და ნავთს ომის გათავების შემდეგ შეიძენენ.

იქიდანვე. ონის მდაბიო საზოგადოება ძლიერ დაღონებულია და თვალცრემლიანი დასტირის „ფერშალ“ ამროსი გამყრელიძის მოულოდნელ წასვლას. დღიდან მისი წასვლისა, სამიკიტნოებში და სარდაფებში კარტის თამაში მოისპო და სათამაშო „კაბინეტი“ დაიხურა.

ეკალი.

ჭკვიანი კაცი.

— არა, არა ჩემო კარგო!.. გაცხარებული შემომეკამათა ჩემი მოსაუბრე.—შენ ცდები... ჩემი მეგობარი არც უპატიოსნოა და არც უჭკუო. პირიქით, იგი პატიოსანზე უპატიოსნესია და ჭკვიანზე უჭკვიანესი. ეგ ისე ნათელია, რომ ყველას სწამს, გარდა შენისთანა ურწმუნო თომებისა.

— სწორეთ ურწმუნო თომა ვარ და არ შემიძლია ვერწმუნო შენს ლიტონ სიტყვებს. შენ

*) ქალტა— პირუტყვთა საზაფხულო სამწყდევი.

*) სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ილლიუზიებით არა ერთხელ გამასპინძლებიან დიდი ჯიხაიშის საზოგადოებას, მაგრამ ილლიუზია, ყოველთვის ილლიუზიათ დარჩენილა. ცხადია ხალხს ავიწყდება ჯოჯოხეთის განათების საკითხი.

ყოველთვის გაცხარებით ქქომაგები მაგ შენს მეგობარს, გააფთრებული იერიშები მიგაქვს მის ცუდად მხსენებელზე, მაგრამ არა საბუთებით, არამედ ცარიელი სიტყვებით, ვერა, ჩემო ბატონო, ვერ დაგიჯერებ, სანამ საბუთებით არ დამარწმუნებ.

— საბუთები?!. რამდენიც გნებავს... ერთი გინდა, ორი, სამი, ათი, ოცი თუ ორმოცი...

პირველი საბუთი ის გახლავთ, რომ ჩემი მეგობარი მდიდარი კაცია: მას აქვს ორი დიდი შემოსავლიანი სახლი ქალაქში, დიდ-ძალი ადგილ-მამული სოფლად და სხვა და სხვა ბანკებში რამდენიმე ათი ათასი ნაღდი ფული. მართალია ეს უხვი ქონება მას მამამ დაუტოვა, მაგრამ ეს საქმისათვის სულ ერთია.

მეორე საბუთად გამოდგება ის, რომ ჩემს მეგობარს კარგი შემოსავლიანი ადგილი უკავია ერთ საზოგადო დაწესებულებაში. ისიც მართალია, რომ ჩვენში ბევრნი არიან მაგ ადგილისათვის უფრო შესაფერისი პირები, მაგრამ ჭკვიანი კაცი მით განსხვავდება მრავალ მის მსგავსებისაგან, რომ იგი ახერხებს ადგილად გაუწიოს მეტოქეობა თუნდაც უფრო შესაფერ და საქმისათვის სასარგებლო პირთ.

მესამე საბუთი კი ის არის, რომ იგი განათლებული კაცია, უმაღლესი სასწავლებელი აქვს გათავებული; უჭკუო კაცი ამას ვერ მოახერხებდა. თუმცა მისი ყოფილი ამხანაგები ლაპარაკობენ, რომ გიმნაზიაში ზარმაც და ჩლუნგ მოწაფედ ითვლებოდა და თითო კლასში ორ-რი წელი იჯდა, მიუხედავად იმისა, რომ თავზე ორი და სამი რეპეტიტორი მუდამ ადგა; ლაპარაკობენ იმასაც, რომ სტუდენტობის დროს უმეტეს დროს ქეიფსა და ქალებში ატარებდა, თითო საგანში ორჯელ და სამჯელ იჭრებოდა და თავმობეზრებული პროფესორი ბოლოს სამაღლოთ სწერდა კარგ ნიშანს, მაგრამ ყველა ამათ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს რაკი დიპლომი მიიღო...

ახლა მეოთხე საბუთს მოგახსენებ. მას მეტად ლამაზი, ცქრიალა და სიცოცხლით სავსე ცოლი ყავს; მისი ტანი უნიჟერეს მექანდაკის მიერ გამოკვეთილ ქანდაკებას ჰგავს; კისერი?.. ოოო!.. რა არის მის კისერთან გედის მოღერილი კისერი, ან მის ხუჭუჭა თმასთან ძვირფასი გიშერი?!. მისი სახე, სახე თეთრი ვით ბროლი, ნაზი და ნარნარი მიმზიდველია, ვით ანდამატი; თვალები კი... ახ, მისი თვალები!.. ზღვა არის უძირო, ოკეანე დაუშრეტელი...

ჩემს მოსაუბრეს თვალები ბრწყინვა, პირის სახეზე ცეცხლის ალი მოედო და მთელი სხეული აუთრთოლდა, ვით საღამოს ნიავის მიერ შერხეული ფოთოლი.

— მეხუთე საბუთი ბრძანეთ, მეხუთე,—განაგრძეს ამ ბატონმა მე, რომ დაეკვიწყებინა მისთვის მისი მეგობრის ცოლი, მაგრამ უშედეგო გამოდგა ცდა ჩემი.

— აბა რა არის რაფაელის მადონა ამ ხელთუქმნელ შემოქმედებასთან, ამ სილამაზის უსრულეს განსახიერებასთან?—განაგრძობდა იგი მთრთოლვარე ხმით:—ჩემს თვალებს მზგავსი არა უნახავს რა. ხოლო ვეღარ დავმალავ იმას, რომ ბუნების ეგ უდიადესი და უმშვენიერესი ქმნილება ხანდისხან სხვებსაც ეკურკურება, უმეტესად იმით, რომელთაც შეუძლიათ გაელენა იქონიონ ჩემი მეგობრის ეკონომიურ და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე...

— კმარა, კმარა, ჩემო კეთილო, კვლავ გავაწყვეტინე მე:—ეგ უკანასკნელი საბუთი სავსებით ააშკარავებს შენი მეგობრის...

— მოიცა, მოიცა, ჯერ სადა ხარ... მეხუთე საბუთი კიდევ მეტად დაგაარწმუნებს, სიჩქაროთ განაგრძო მან, თითქო შეშინდა, რომ არ ჩამოვსთოხოვოდი.

— მეხუთე საბუთი გახლავთ ის, რომ ჩემი მეგობარი პრინციპის კაცია, დიახ პრინციპის. იგი პრინციპიალურათ მომხრეა , დემოკრატიული წესწყობილების, სოციალიზმის და ყოველგვარ თანასწორობის, მაგრამ თუ ამ პრინციპს იგი ცხოვრებაში არ ატარებს, იმისთვის, რომ ამას უკარნახებს „უაღლობელესი პრაკტიკოზმი“. დღეს ჩვენ არავინ მოგვცემს არც არც დემოკრატიულ წესწყობილებას და არც სოციალიზმს. ეს მან ისე კარგად იცის, როგორც თავდაური დარბაისლობით აღსავსე კიტამ. ჩემი კარგი მეგობარი და თავადი კიტა...

— სრულიად საკმარისია, სრულიად საკმარისი... მეტი არ არის საჭირო... მე თურმე მივქარავდი, რომ არ მჯეროდა შენი მეგობრის დიდი ჭკუის კოლოფობა... იგი ყოფილა უჭკვიანესი, გენიოსი, ერთი სიტყვით ყველაფერი რაც გნებავს... ზედი ზედ მივაყარე ჩემს მეგობარს, სწრაფად მოვბრუნდი და დაუმშვიდობებლათ გამოვექეცი, თორემ ლამის იყო გული წამივიდა მისი საბუთების წყალობით.

ვ. ანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო შენ ამოაგდე.

შიმშილობა თბილისში
სწორედ საოცარია...

—

ერთ კვირაში ოთხ დღესა
პურს ვეღარა ვშოულობთ.
ყურადღებას ვინ გვაქცევს,
თუმცა ვყვირით, ვთხოულობთ,
ნუგეშის მცემს დავეძებთ,
მაგრამ ვერა ვპოულობთ,
ის უმღერის იმთა,
ვინც კი გამაძღარია,
ღმერთო შენ ამოაგდე
ვინც ქვეყანა არია.

—

თითქო ღარიბ მცხოვრებელს
არა ჰყავდეს პატრონი,
მათთვის პურს გადმოზიდავს
ძველათ მფრენი გოდრონი*)
ზეცით საზრდო მოუვათ,
ახლოვდება ეს დრონი.
ამიტომაც დაჰყარა
ღვთისა ანაბარია
ღმერთო შენ ამოაგდე
ვინც ქვეყანა არია.

—

თუმცა პურის საცხობი
გახსნეს ოთხ-ხუთ ალაგსა,
მაგრამ ესე მცირედით
გააძღობენ ქალაქსა?
ამოდენა მიკიტანს,
ამოდენა დალაქსა...
განა ოთხი ფურნიდან
გამოვა საკმარია?

ღმერთო შენ ამოაგდე
ვინც ქვეყანა არია.

—

ნეტავ ხელთ ჩამივარდეს
პურის გამძვირებელი,
რომ იქვე გავათავო
ის ვერაგი, მზებნელი,
ამოვართო ქვა გული,
ოქროსათვის მფეთქელი.
რომ არ ესმის ქვრივ ობლის
ტირილ-სიმწუხარია
ღმერთო შენ ამოაგდე
ვინც ქვეყანა არია.

—

გთხოვ, ეშმაკო, გაშინჯო
თბილისის დავთარია,
თუ რომ ნახო სიყალბე
სიმდიდრის სახსარია,
არ დაზოგო მათრახი
საცა მოსახმარია,
ქალაქის მესვეურებს
თითო გადაჰკარია,
ვიდრე ღმერთი დასჯიდეს
ვინც ქვეყანა არია.

ან. განჯის-კარელი.

*) გოდრონი იყო ჰაერ ოსტატის მფრინავი 1884—ნ წლებში... რომელიც დიდუბის მინდვრიდან აფრინდებოდა ხოლმე, იმავე დროს მიკიტანი იაკობის აბრაგუნეთ წოდებულის ვირი აიყვანა თან.

მოგონება

ჭიათურა.

როგორც ამბობენ, ჭიათურაში
წინა დროდ, თურმე ბედის მდურვაში
ბეუტავდა თურმე ერთი დუქანი,
ისიც მჭლე ხორცი, არა მსუქანი.
მაგრამ მას შემდეგ გამრავლდა ხალხი,
გაჩნდა ვაჭრობა, ფოსტა, სტანცია,
დაარსდა შტატი პოლიციისა
და შესაფერი მახინაცია...
აი ამ დროდან, უბრალო სოფელს,
დაერქვა დაბა ჭიათურასა,
მაგრამ შემდგომად ამ ნათელღების
კვალად ბევრს ვხედავთ მის მომდურავსა.
ორი წლის წინად, მოგეხსენებათ

საბედისწერო დაიწყო ბრძოლა,
და როგორც სხვაგან, ისე აქეთაც
სიძვირის ღმერთმა ჩამოიქროლა.
და საიდუმლოთ აცნობა ვაჭრებს:
— დარდანელ კარი დაკეტილია
და ვისაც უყვარს დროის შერჩევა,
იმისთვის კარგი გაკვეთილია“.
ვაჭრებმაც „ყურნი ალახვენ სმენად“
და სთქვეს: „რადგანაც დაკეტილია,
გუშინ თუ ღირდა ერთი შაური,
დღეს ფასი აძევს ათი წილია“.
აბა რა ექნა ამ დროს სოფლელ კაცს,
განა ცხოვრება მას არ სჭირია!
და მიაწერა: კვერცხს, გოჭს და ქათამს:
„წინანდელ ფასზე ათჯერ ძვირია“.
გასჭირდა საქმე ვაჭრუკანების
და შეიკრიბნენ თურმე ერთადა:
— ნუ გვინდა კვერცხი, ბატი, ქათამი...
გაიძახოდა ყველა ერთხმადა.
მაგრამ გაიგეს ეს სოფლელებმა
და გაუქარწყლეს გამოცდილება:
როგორც ამბობენ უმთავრეს წილად
როსტომის, პეტრეს, კოსტას ქმნილება.
ჭიათურელი სტუმარი.

—

ს. ლიხაური. (გურია).
ეშმაკს თხოვნას ვწერ დასახმარებლათ,
(ღმერთი არ გვწყალობს, საქმე წაგვიხთა)
და ეს წერილი მისწვდეს თუ არა,
იმწამსვე გაჩნდეს მუნ მათრახითა.

ჩვენში საქმეებს არა უშავს რა,
კვეხნით არ ვიტყვი, ბევრს სხვას სჯობია,
მაგრამ აქაც გვყავს ისეთი ხალხი,
საქმენი ვისიც დასაგმობია.

ეს—მას ეხება აქ ლაპარაკი,
ვინაც სოფელი არივ-დარია
თხოვნა მიართვა სადაც ჯერ იყო,
საყალთაბანდო მოსდო შარია.

და თვით **ხალი ქვა** სოლომონ ბრძენის
დღეს მას გაუწევს მარჯვენ ხელობას
ზე პროფესორი ცრუ-მოწმეობის
არ ერიდება მავნე ხელობას.
ნანა.

—

ბ. ეშმაკო! იმედია, შენ[illegible]“ დროს ტარტაროზობაც მიღებული გექნება, მარა რავაც გავს არ გაკვირებს ჩინ-ტემლაკები და არ ამხელ, თვარა რავა დევიჯერებ, აქანე ყველე უჩენიკი პრაპორშჩიკი გახთა. რაც თვალს ვადევნებ შენს ამბავს სულ ვოინში ხარ ჩაბმული და არც ერთი ოტსტუპლენიე არ გიქნია ჯერ. მართალია დიდი ღირსება გაქ—თეთრ და შავ ზღვამდე გიჭირავს ფრონტი და „სმირნაზედ“ გყავს გამოყვანილი ყველა ცრუ და თაღლითი პირები, მარა როგორც ვაკვირდები საცხა რკინის გზები უდგება, იქ უფრო ჩქარ-ჩქარა უტკაცუნებ მათრახებს და საქვეითო გზებზე კი უფრო გვიან-გვიან—ამიზა გეხვეწები უმორჩილესად ჯერ რკინის გზა არ არის, მაგრამ მაინც ნუ მოაკლებთ თქვენს კურთხეულ დაბა ხონს შენს მათრახს. ნეტა იცოდეთ როგორ ეშინიათ... ხონელები ისე არიენ ბაქიები, თორემ ერთი ტყულა რომ უხსენია შენი „ტარ-კურთხეული“, მოგეცა დღეგრძელობა შენცა და შენს ამალას, მაგენი მიიმალებიენ ხვრელში.

ამიზა გთხოვ მიიღო ჩემი თხოვნა, და თუ შეგატყობინო, გადმოაქნიე მათრახი ხონისკენაც. ტყუილი გარჯა არ მოგელის, მაგალითად: მათეს ბანკი, ქელიძის ბანკი, „ზვირთი“-ს ლეგიონი, დოხტურები, ფოშტა, გემნაზიის მესვეურები, მამასისხლისი მებუკე, ხონელი ვაჭრები, სახელოსნო სკოლის „უჩიტელი“, კოოპერაცია და კერძოთ ყველა მოელის მას... ამ ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებაზე და პირებზე ყოველ კვირას სულ ნომრობით გაგიკეთებ „ხონის ამბებს“ სათაურით დანესენიეს, თუ თქვენი უტარტაროზობა ნებას დამრთავს.

მთხოვნელი ქოპინა კვანტილასძე **ჩხუტაძე.**

—

დაბა აბაშა.

ისემც მეხი დაეცეს
შენს ავის მოსურნესა,
როგორც ჩვენ ვერ ვეღირსოთ
დანაპირებ ფურნესა.
წელიწადი სრულდება
რაც მოკრიბეს ქანქარი...
ველით, მაგრამ არსად ჩანს,
ნეტავ ფურნე სად არი?
ამდენი სიგვიანე
თუ კია დასაძრახი,
მოგვაშველე, ეშმაკო,
კურთხეული მათრახი.
ლენცოფა.

ალაპი

ერთ დიდ ოჯახში ძველებურ დროში
(როცა არ სჭირდა ოქრო და გროში),
ოჯახის მამა გახდა ავათა,
ლეკრიც[1]) მოიხმეს სანახავათა.
მარა სიკვდილმა სიცოცხლეს სძლია
და ავათმყოფიც გადაითრია.
შეიქნა გლოვა ძველი წესითა
თედოს[2]) პროგრამის უკეთესითა,
გაშალეს ტაბლა ალაპებისა
საკურთხ-არჩივი მოძღვრის ნებისა.
უმთავრესია ალაპში პური,
დროზე არავინ ათხოვა ყური,
რომ მოახწია დრო ალაპისა
ხევის კაცებმა[3]) გაშალეს ქისა,
მარა მოტანა არ ესწრებოდა
და გასაჭირიც ამას ყვებოდა.
მეხულეს[4]) სთხოვეს დაგვეხმარეთო
და პურის საქმე მოაგვარეთო.
ხმალაძე იყო მეხულე ესა,
პურის მოტანა მან გააწესა.
მიანდო ნაცნობ კურდღელაძესა
და პურიც გაჩნდა მესამე დღესა.
მარა საქმეა ნაყიდობაზე
ყიდვა ყოფილა თურმე ნდობაზე
და უყიდიან იმდენზე ძვირათ,
რომ ეს ოჯახი დაღუპვის პირათ
მიუყვანიათ ხელოვნურათა
და მოსაგებიც გაჰყვეს ძმურათა.

ბუტუნა.

წერილები რედაქციას

პასუხათ ბ-ნ ჟ.—ნს.

„ეშმაკის მათრახის“ მე-6 ნომერში ბ. ჟ—ნის აპასუხო წერილი არის მოთავსებული. თქვენს წინადადებაზე, საქმის გარჩევა თუ სად უნდა მოხდესო, შემდეგს მოგახსენებთ. საქმე იქ უნდა გარჩეს, სადაც ინციდენტი მოხთა, ე. ი. აცანაში. რადგანაც მე შეიძლება, ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო, საქმის გარჩევას ვერ დავესწრა, ამისათვის ჩემს მაგიერ რწმუნებულად ვნიშნავ ბ-ნ ბესარიონ და ნესტორ მგელაძეებს, რომლებსაც შეგიძლიათ ბ. ჟ-ნო ამცნო დრო და თქვენ მედიატორეთა ვინაობა. ჩემს მედიატორების ვინაობასაც ისინი გაცნობენ.

ნოე მგელაძე.

—

ბ. რედაქტორო!

„ეშმაკის მათრახის“ მე-14 ნომერში მოთავსებული იყო სუფსიდან წერილი ბ-ნი „სოკოკვერცხის“. ზოგიერთები თავს შეურაცყოფილათ სთვლიან და ეძებენ ავტორის ვინაობას. იჭვი ჩემზედაც მოიტანეს. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ წერილი მე არ მეკუთვნის*).

პატივისცემით **ჯ. ტუღუში.**

ფოსტა

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ **უსახელო ავტორებისა და უცნობ პირთა** წერილები ჟურნალში არ დაიბეჭდება.

შემთხვევითი კორესპონდენტის ვინაობას და წერილში აღნიშნულ ამბის სისწორეს უნდა ამოწმებდეს ვინმე რედაქციისათვის სანდო პირი.

სარედაქციო წერილი უნდა დაიწეროს ქაღალდის ცალ გვერდზე და ყოველ აღნუსხულ ამბავს თან ახლდეს საჭირო ახსნა-განმარტება.

რომ სარედაქციო წერილი რედაქციაში მოსვლამდე რა გახსნან, საჭიროა კონვერტზე ადრესის შემდეგ დაეწეროს: „ეშმაკის მათრახისათავის“.

უმარკო წერილებს რედაქცია არ იხსნის და დაწუნებულ მასალებს არ ინახავს.

—

ჭიათურელ სტუმარს. როცა თქვენ წაიკითხავთ ამ ნომერში დაბეჭდილ ლექსს და შეადარებთ ორიგინალს, აშკარა იქნება, თუ რისთვის ვერ ვბეჭდავთ დანარჩენ ორ ნაწარმოებს.

—

ფოთელ ნაცნობს. შეძოკლება არ მოხერხდა, რადგან წერილი ძლიერ გრძელი და ჩვენი ჟურნალისათვის მიუსადეგებელია.

—

ბ-ნ ქ. ლ-ს. თქვენი წერილი „თაზოს დასაფლავების“ გადათვალიერების შემდეგ საბოლოოთ

1) ლეკრი—ძველათ გამოჩენილი ექიმი (გურიაში)

2) თედო ჟორდანია, რომელიც ალაპებს იცავს.

3) ხევის კაცები—ჭირისუფლები, მეგვარეები (გურიაში)

4) მეხულე—ალაპში პურის მერიგე.

*) არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოირკვა საეროება „თაზოს დასაფლავების“ დასაფლავებისა, რაიც მოხდა ეშმაკის თანადასწრებით ამა წლის 18 მაისს, ეგრედ წოდებულ „პანთეონში“, ანუ, როგორც ჩვეულებრივ ეძახიან „სარედაქციო კალათში“.

—

ლაღვითელ ეშმაკს პ-ს. თქვენი ლექსი გრძელია და მოკლეც. გრძელია სივრცით, მოკლე შინაარსით. გლახა ნაეშმაკევია.

—

ბ-ნ ვა-ს. თქვენა სწერთ ეშმაკს:

„კაფიტენ თქვენი გმირობა
მთრახებსა წენით მწარესა,
ერთი საკუთრად მოხმარდეს
„უზატელს“ ყველაკრელსა“.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ იქნება იმ „უზატელს“ წენიანი არ უყვარს. აკაო და კარტის თამაში უყვარსო, ყველაფერი ხომ არ ეყვარება.

—

კინოთელ ჯანგირაზას. ერთობ ორიგინალურია თქვენი ლექსი: **„ქართველ მეომარ გმირებს“**, მეტადრე ეს ადგილი:

„მეტ კი მინდა მოგეხმარო,
მაგრამ ვერსად ვხედავ თავადთ,
ვერ კაშორებთ წეველ მტრებსა
და ვერ ვეუწყ ხანგალ-ხმალთ,
ვერ ვისვენებ იმის კაშო,
დამდის მუდამ ტრეშელ-ნაკადი,
ძალშიც გუდი შეუბენს:
ნახე გმირნი, მათთან წადი.
არ შეშინდეთ ჩემს მოსვლამდი“...

სირცხვილი თქვენი, რომ ამ ლექსის დაწერამდე არ წადით. ახლა მაინც ნუღარ დაავგიანებთ; გახსოვდეთ, რომ თქვენი წასვლით იქ ჯარისკაცებს დაუკარგავთ შიშს და აქ ჩვენ.

—

ორ ტიკჭორას. მივიღეთ თქვენი ლექსი: **„მოხსენება ხონის ბულვარდიდან“**, რომელიც ასე იწყება:

„ბატონ ეშმაკო ნუ მკითხავ,
ხონის ბულვარდის ამბავსა,
მე ბუდნულსა წამხდარსა
არ შეუხვედრიეართ ამგვარსა.
დორები მაგნთ ბეგრია
და მიწას ჩუდვენ ეოფვედ დდეს
მცვლები არაენ არის
და დორებს არაენ სდეგს“.

ვილას უსაყვედურებთ, ან რას ელოდებით, ეცადეთ იშოვოთ ეს ადგილი.

სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 1 ივნისს 1916 წ.

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე სახელ განთქმული პიესა ბერნშტეინისა.

I

ეროის სისხლი

3 მოქმედებათ.

აგნესას როლს შეასრულებს ქ-ნი ნ. დავითაშვილი. ტიბოს—ბ-ნი ი. ზარდალიშვილი.

II

ვაი ყოგოს

1 მოქმედებათ.

ბილეთები ამ თავათვე იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**

კვირას 5 ივნისს 1916 წ.

სახალხო სახლის სცენის-მოყვარეთა მიერ **ნ. ჯავახიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ერთ საღამოს ორი პიესა

I

ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პ. ირეთელის მიერ.

ქრისტინე

დრ. 4 მოქმ.

II

რაც გინახავს ვეღარ ნახავ

კომ. 3 მოქმ. ა. ცაგარლისა.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

ადგილების ფასი 5—49 კ-მდე.

გამგე **ალ. ბადრიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იშვიათი შემთხვევა!

გასაოცარის სისწრაფით,

უმაგალითო მოხერხებით,

გმირული თავგანწირულებით და

სრულიად უსასყიდლოდ

ვამტვრევთ ავტომობილებს,

განურჩევლად სისტემისა,

სიდიდისა,

და ღირებულებისა.

მიმართეთ თფ. განმანაწ. ლაზარეთში.

ნებადართულია სამხ. ცენზურისაგან. სტამბა „შრომა". რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე.